

საბროკერო კომპანია
სს ჰერიტიჯ სიქიურითიზ

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2023 წლის 30 ივნისის მდგომარეობით

საბროკერო კომპანია სს ჰერიტიჯ სიქიურითიზ
 კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
 2023 წლის 30 ივნისის მდგომარეობით

შინაარსი

	გვერდი
<u>მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა</u>	<u>2</u>
<u>კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება</u>	<u>3</u>
<u>კონსოლიდირებული სრული შემოსავლების ანგარიშგება</u>	<u>4</u>
<u>კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება</u>	<u>5</u>
<u>კონსოლიდირებული კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება</u>	<u>6</u>
<u>კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები</u>	<u>7</u>
ზოგადი ინფორმაცია	7
წარდგენის საფუძვლები	7
საანგარიშგებო ვალუტა	7
კონსოლიდაციის საფუძვლები	8
ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა	8
კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები	11
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	12
კლიენტების მოზარებული აქტივები	12
ფინანსური აქტივები რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით	12
კლიენტების მიმართ არსებული მოთხოვნები	13
გაცემული სუბორდინირებული სესხი	13
ძირითადი საშუალებები	13
სხვა აქტივები	13
კლიენტების ანგარიშები	14
სხვა ვალდებულებები	14
კაპიტალი	14
საბროკერო საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი	14
რისკების მართვა	15
საწარმოს უწყვეტობის განხილვა	15
ინფორმაცია კლიენტების რაოდენობასა და კლიენტების ტრანზაქციების ჯამურ მოცულ ბალანსის თარიღის შემდგომი მოვლენები	15
ფინანსური ანგარიშგების ბოლო გვერდი არის:	15

საბროკერო კომპანია სს ჰერიტიჯ სიქიურითიზ
 კონსოლიდირებული სრული შემოსავლების ანგარიშგება
 2023 წლის 30 ივნისის მდგომარეობით
 თანხები მოცემულია ლარში

	2023	2022	2023	2022
შენი შენა	2 კვარტალი	2 კვარტალი	1-2 კვარტალი	1-2 კვარტალი
საბროკერო საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი	17	210	210	420
საპროცენტო შემოსავალი		16,540	19,213	45,251
სხვა შემოსავალი		-	-	-
სულ შემოსავალი	16,750	19,423	45,671	39,376
გაცემული ხელფასი და სხვა სარგებელი		(19,503)	(19,266)	(35,563)
ადმინისტრაციული ხარჯები		(10,314)	(9,437)	(19,419)
საბროკერო საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯები		(600)	(600)	(1,200)
კურსთაშორის სხვაობის შედეგი		22,943	(68,784)	(33,797)
სულ ხარჯები	(7,475)	(98,086)	(89,979)	(123,239)
მოგება / (ზარალი) დაზღვევამდე	9,275	(78,664)	(44,309)	(83,862)
მოგების გადასახადი		-	-	-
საანგარიშგებო წლის მოგება / (ზარალი)	9,275	(78,664)	(44,309)	(83,862)
კაპიტალის ინსტრუმენტებში ინვესტიციების რეალური ღირებულების ცვლილება		19	(626)	19
საანგარიშგებო წლის სრული შემოსავალი	9,294	(79,290)	(44,290)	(87,039)
საანგარიშგებო წლის მოგება / (ზარალი) განკუთვნილი:	9,275	(78,664)	(44,309)	(83,863)
სათაო კომპანიის მფლობელები	9,275	(78,664)	(44,309)	(83,863)
არამაკონტროლებელი წილი	-	-	-	-
საანგარიშგებო წლის სრული შემოსავალი განკუთვნილი:	9,275	(78,664)	(44,309)	(83,863)
სათაო კომპანიის მფლობელები	9,275	(78,664)	(44,309)	(83,863)
არამაკონტროლებელი წილი	-	-	-	-

თენგიზ ლაშვი
 დირექტორი



თარიღი: 14 აგვისტო 2023

გვერდი

4

საბროკერო კომპანია სს ჰერიტიჯ სიკიურიტიზ
 კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
 2023 წლის 30 ივნისის მდგომარეობით
 თანხები მოცემულია ლარში
 პირდაპირი მეთოდით

	2023	2022
	2 კვარტალი	2 კვარტალი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
კლიენტების ნეტო თანხები მიღებული/(გადახდილი)	65,548	(14,186)
საბროკერო საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები მიღებული/(გადახდილი) პროცენტები	210	16,097
გადახდილი ხელფასები და სხვა სარგებელი	-	24,094
გადახდილი გადასახადები	(15,707)	(15,426)
სხვა გადახდილი თანხები	(11,400)	(7,900)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	24,293	(21,383)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	-	-
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	-	-
საკურსო სხვაობის ეფექტი ფულად სახსრებზე	(26,316)	(4,582)
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა ცვლილება	(2,023)	(25,965)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისისათვის	95,071	95,071
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები პერიოდის ბოლოსათვის	93,048	69,106

თენგიზ ლაშვილი
 დირექტორი




თარიღი: 14 აგვისტო 2023

საბროკერო კომპანია სს ჰერითიჯ სიკიურითიზ
 კონსოლიდირებული კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება
 2023 წლის 30 ივნისის მდგომარეობით
 თანხები მოცემულია ლარში

სათაო კომპანიის მფლობელთა კუთვნილი

	სააქციო კაპიტალი	საემისიო კაპიტალი	გაუნაწილ ებელი მოგება	დამფუძნე ბელთან განხორცი ელებული	სხვა რეზერვებ ი	სულ	არამაკონ ტროლებე ლი წილი	სულ კაპიტალი
31 დეკემბერი 2021	217,787	77,317	236,034	746,097	1,641	1,278,876	(350)	1,278,526
საანგარიშგებო წლის სრული შემოსავალი			(83,861)	-	(3,177)	(87,038)	-	(87,038)
30 ივნისი 2022	217,787	77,317	152,173	746,097	(1,536)	1,191,838	(350)	1,191,487
31 დეკემბერი 2022	217,787	77,317	24,638	746,097	(467)	1,065,372	(350)	1,065,022
საანგარიშგებო წლის სრული შემოსავალი			(44,309)	-	19	(44,290)	-	(44,290)
30 ივნისი 2023	217,787	77,317	(19,671)	746,097	(448)	1,021,082	(350)	1,020,732


 თენგიზ ლაშვი
 დირექტორი



თარიღი: 14 აგვისტო 2023

საბროკერო კომპანია სს ჰერიტიჯ სიქიურითიზ
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2023 წლის 30 ივნისის მდგომარეობით

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1 ზოგადი ინფორმაცია

მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს საბროკერო კომპანია სს "ჰერიტიჯ სიქიურითიზ"-ის ("კომპანია") და მისი შვილობილი კომპანიის_ სს "ლიბერთი ფაინენსი"-ს (ერთად მოხსენებული როგორც "ჯგუფი") ფინანსურ მონაცემებს.

საბროკერო კომპანია სს ჰერიტიჯ სიქიურითიზ დარეგისტრირდა 2009 წლის 2 სექტემბერს. მისი ფაქტიური მისამართია: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი, #34 და იურიდიული მისამართია: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი, #29. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებულია, როგორც საბროკერო კომპანია. კომპანია ასევე წარმოადგენს საქართველოს საფონდო ბირჟის წევრს. კომპანიის მფლობელები **2023 წლის 30 ივნისის** მდგომარეობით არის:

სს ჰერიტიჯ ჰოლდინგზი	<u>წილი %</u>
	100%

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს კერძო და ინსტიტუციონალური კლიენტებისთვის საბროკერო, აქტივების მართვის და კასტოდიალური მომსახურების გაწევა ფასიანი ქაღალდებისა და სხვა ფინანსური ინსტრუმენტების მიმართულებით. აქტივების მართვის მომსახურების ფარგლებში კომპანია საკუთარ კლიენტებს სთავაზობს სხვადასხვა პროდუქტს/მიმართულებას როგორც პერსონალური, ასევე კუმულატიური პორტფელების მართვის კუთხით.

შვილობილ საწარმოებში მონაწილეობა:	30-Jun-23	31-Dec-22
სს ლიბერთი ფაინენსი	66.67%	66.67%

სს "ლიბერთი ფაინენსი" (ს/ნ: 405018813) რეგისტრირებულია 2013 წლის 19 ნოემბერს და მისი ძირითადი საქმიანობა არის ფულადი სახსრების მოზიდვა თამასუქების რეალიზაციის გზით და შემდგომ ინვესტიციების განხორციელება სხვადასხვა ფიქსირებული შემოსავლების მქონე ფინანსურ ინსტრუმენტებში.

2 წარდგენის საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად. ჯგუფი საბუღალტრო ჩანაწერებს აწარმოებს საქართველოს საბუღალტრო და საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება მომზადდა აღნიშნული ბუღალტრული ჩანაწერებიდან და საჭიროებისამებრ შესწორდა, რომ შესაბამისობაში მოსულიყო ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან.

3 საანგარიშგებო ვალუტა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება შედგენილია ქართულ ლარში (GEL), თუ სხვაგვარად არ არის აღნიშნული.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

4 კონსოლიდაციის საფუძვლები

კონსოლიდირებულია შვილობილი საწარმო, რომელიც წარმოადგენს ისეთ კომპანიას, რომელშიც „ჯგუფს“ ნახევარზე მეტი ხმის უფლება აქვს ან სხვა მხრივ გააჩნია შესაძლებლობა მართოს მათი ფინანსური ან საოპერაციო პოლიტიკა ისე, რომ სარგებელი მიიღოს მათი საქმიანობიდან. ჯგუფის მიერ სხვა საწარმოს კონტროლის შეფასების დროს გაითვალისწინება ხმის უფლების არსებობა და მისი მოსალოდნელი შედეგები. შვილობილი საწარმოს კონსოლიდირება ხდება იმ თარიღიდან, როცა კონტროლი გადადის ჯგუფზე (შემქნის თარიღი) და დეკონსოლიდირდება მაშინ, როცა ჯგუფი კარგავს კონტროლს შვილობილ საწარმოზე.

როდესაც ხდება შვილობილი საწარმოს შექმნა, საწარმოთა გაერთიანებაში მონაწილე აქტივები, ვალდებულებები და პირობითი ვალდებულებები შეფასებულია შექმნის თარიღისათვის შვილობილ საწარმოში მათი მიმდინარე ღირებულებით და არ გაითვალისწინება შვილობილ საწარმოში არაკონტროლირებადი წილი. ჯგუფის არაკონტროლირებადი წილი შვილობილ კომპანიაში განისაზღვრება შვილობილ კომპანიაში ჯგუფის კუთვნილი წმინდა აქტივების პროპორციულია.

გუდვილი შეფასებულია შექმნისას გადახდილი თანხის, არაკონტროლირებადი წილის და შექმნის წინ შექმნილ კომპანიაში ფლობილი წილის ღირებულებების ჯამიდან შექმნილი კომპანიის ნეტო აქტივების ღირებულების (რომელიც შეფასებულია შექმნილი კომპანიისათვის შექმნის თარიღში აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებების საფუძველზე) გამოკლებით. ნებისმიერი უარყოფითი სხვაობა (“უარყოფითი გუდვილი”) აღიარდება სრული შემოსავლების ანგარიშგებაში, მას შემდეგ, რაც მენეჯმენტი თავიდან შეაფასებს მიღებული აქტივების, აღიარებული ვალდებულებების და პირობითი ვალდებულებების სისრულეს და გადაამოწმებს მათი შიფასების საიმედოობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში კომპანიის და მისი შვილობილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგების ანალოგიური მუხლები დაჯამებულია ერთმანეთთან და შემდეგ შვილობილ კომპანიაში სათაო კომპანიის ინვესტიციის საბალანსო ღირებულება ელიმინირებულია შვილობილი კომპანიის კაპიტალში სათაო საწარმოს წილის საპირისპიროდ.

სათაო კომპანიის ფინანსური ანგარიშგება იმავე მეთოდებით და იმავე პერიოდისთვისაა მომზადებული, როგორც შვილობილი კომპანიისა.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შედგენის დროს მსგავს ტრანზაქციებსა და სხვა მოვლენებთან მიმართებაში გამოყენებულია ერთგვაროვანი პოლიტიკა.

5 ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა

5.1 ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს არსებულ ნაღდ ფულს, დეპოზიტებს ბანკებში და მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს. ასევე ინვესტიციებს, რომელთა დაფარვის ვადა 90 დღეზე ნაკლებია. საბანკო ოვერდრაფტები, ასეთის არსებობის შემთხვევაში, ნაჩვენებია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში სხვა ვალდებულებების სახით.

კლიენტების ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წარმოადგენს ჯგუფის მიერ საინვესტიციო მიზნებისთვის ფლობილ თანხებს, რომლებიც გამოკლებულია ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების მუხლიდან და ნაჩვენებია ცალკე.

ბანკში განთავსებული სამ თვეზე მეტი დაფარვის თარიღის მქონე დეპოზიტები გამოკლებულია ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების მუხლიდან და ნაჩვენებია ცალკე, ამორტიზირებული ღირებულებით.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

5 ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

5.2 გაცემული სესხები

ჯგუფის მიერ გაცემული სესხები თავდაპირველად აღიარდება საბაზრო ღირებულებით, გარიგებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯის გათვალისწინებით. თავდაპირველი აღიარების შემდეგ, სესხები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. გაცემული სესხები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარდგენილია ნეტო ღირებულებით, სესხების გაუფასურების რეზერვის გამოკლებით. სესხები ითვლება გაუფასურებულად, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ჯგუფი ვერ შეძლებს თავდაპირველი გარიგების მიხედვით კუთვნილი თანხების სრულად მიღებას.

5.3 გაცემული სუბორდინირებული სესხი

ინვესტიციები კაპიტალის ინსტრუმენტებში თავდაპირველად აღიარდება და შემდგომში წარედგინება ინვესტიციის რეალური ღირებულებით. ჩვეულებრივ, კაპიტალის ინსტრუმენტებში ინვესტიციის რეალური ღირებულება აღიარების მომენტში მისი შეძენის ფასის ტოლია. თუკი შეძენის ფასი განსხვავდება შეძენის მომენტში ინვესტიციის რეალური ღირებულებისაგან მაშინ ეს განსხვავება აღიარდება შემოსავლად ან ზარალად.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ კაპიტალის ინსტრუმენტებში ინვესტიციების რეალური ღირებულების ცვლილება აღიარდება სხვა სრულ შემოსულობებში, თუკი ეს ინვესტიცია არ არის განკუთვნილი სავაჭროდ. ამ უკანასკნელ შემთხვევაში რეალური ღირებულების ცვლილებები აღიარდება მოგება-ზარალში.

5.4 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები არის მატერიალური აქტივები, რომლებიც იმყოფება ჯგუფის მფლობელობაში და გამოიყენება მომსახურების მისაწოდებლად, იჯარით გასაცემად ან ადმინისტრაციული მიზნებისათვის და გათვალისწინებულია ერთ-საანგარიშგებო პერიოდზე მეტი ხნით გამოსაყენებლად. ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია აკუმულირებული ცვეთით შემცირებული ისტორიული ღირებულებით. ისტორიული ღირებულება მოიცავს ამ აქტივების შეძენასთან დაკავშირებულ პირდაპირ ხარჯებს. შეძენის შემდგომი დანახარჯები ემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას ან აღიარდება ცალკე აქტივად, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ მომავალში ამ აქტივის მეშვეობით ჯგუფი მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია ამ აქტივის ღირებულების სარწმუნო (რეალური) შეფასება.

აქტივების მიმდინარე რემონტის (შეკეთების) და შენახვის დანახარჯები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში მათი გაწევის პერიოდის მიხედვით. ცვეთა გამოანგარიშებულია წრფივი მეთოდის გამოყენებით, რომელიც გადანაწილებულია სასარგებლო მომსახურების ვადაზე. ცვეთის დარიცხვა იწყება ძირითადი საშუალების შეძენის მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან. სასარგებლო მომსახურების ვადები მოცემულია ქვემოთ:

	სასარგებლო
<u>ჯგუფი</u>	<u>მომსახურების ვადა</u>
კომპიუტერული ტექნიკა	5 წელი

5.5 სხვა აქტივები

ჯგუფის სხვა აქტივები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით და შემდგომში წარედგინება ამორტიზირებული თანხით.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

5 ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

5.6 მიღებული სესხები

მიღებული სესხები თავდაპირველად აღიარდება სესხის მიღებასთან დაკავშირებული ყველა პირდაპირი დანახარჯის გამოკლებით. თავდაპირველი აღიარების შემდეგ, სესხები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, რაც უზრუნველყოფს იმას, რომ პერიოდის საპროცენტო ხარჯის შეფარდება სასესხო ვალდებულების საბალანსო ღირებულებასთან იყოს უცვლელი სესხის სრულად დაფარვამდე. "საპროცენტო ხარჯი" ამ კონტექსტში მოიცავს სესხის დამტკიცებისა და გატანის საკომისიოებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ასევე ვალდებულების არსებობის პერიოდში წარმოქმნილ ნებისმიერ ხარჯს.

5.7 კლიენტების ანგარიშები

კლიენტების თანხებით შექმნილი თამასუქები, კლიენტების თანხების ინვესტიციები სასესხო ინსტრუმენტებში და კლიენტებისადმი არსებული ვალდებულებები იქვითება ერთმანეთის საპირისპიროდ თა ბალანსში წაროდინება ნიჟო თანხით.

კლიენტების თანხებით შექმნილი თამასუქები თავდაპირველად აღირიცხება რეალური ღირებულებით, რაც ჩვეულებრივ ტრანზაქციის ფასის ტოლია, და შემდგომში ბალანსში წარედგინება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

კლიენტების თანხების ინვესტიციები სასესხო ინსტრუმენტებში თავდაპირველად აღირიცხება რეალური ღირებულებით, რაც ჩვეულებრივ ტრანზაქციის ფასის ტოლია, და შემდგომში ბალანსში წაროდინება ამორტიზირებული ღირებულებით.

კლიენტებისადმი არსებული ვალდებულებები თავდაპირველად წარმოიშვება კლიენტების მიერ ჯგუფისთვის სამართავად ფულადი სახსრების გადაცემისას, შემდგომში იზრდება კლიენტების თანხების ინვესტირების შედეგად ამ ინვესტიციებზე მიღებული სარგებლით, რაც გადასახდელია კლიენტებისათვის და მცირდება კლიენტებისათვის გადახდილი თანხებით.

5.8 სხვა ვალდებულებები

სხვა ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით. თავდაპირველი აღიარების შემდეგ მათი შეფასება ხდება ამორტიზირებული ღირებულებით.

5.9 შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება

საპროცენტო შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით და აისახება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

საბროკერო საქმიანობიდან მიღებული საკომისიო და სხვა შემოსავალი და ხარჯი ჩვეულებრივ აღიარდება დარიცხვის მეთოდის გამოყენებით, მაშინ როცა მომსახურება მიიღება ან გაწეულ

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

5 ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

5.10 უცხოური ვალუტის გადაფასება

უცხოურ ვალუტაში გამოსახული გარიგებები აღირიცხება იმ გაცვლითი კურსის შესაბამისად, რომელიც არსებობს ოპერაციის თარიღისათვის. უცხოურ ვალუტაში გამოსახული გარიგების განხორციელების შედეგად წარმოქმნილი გაცვლითი კურსის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში იმ დღისათვის არსებული გაცვლითი კურსის შესაბამისად.

უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია ლარში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის გამოცხადებული ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად.

2023 წლის 30 ივნისისთვის უცხოური ვალუტაში არსებული ნაშთების ლარში გადაყვანისთვის გამოყენებული ოფიციალური გაცვლითი კურსები იყო:

ვალუტა	30-Jun-23	31-Dec-22
აშშ დოლარი (USD)	2.6177	2.8352
ევრო (EUR)	2.8591	2.7482
დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი (GBP)	3.3132	3.0751

6 კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკების გამოყენების პროცესში, ხელმძღვანელობას სჭირდება მსჯელობების, შეფასებების და დაშვებების გამოყენება ისეთი აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულებების განსაზღვრისათვის, რომელთა ღირებულება სხვა მხრივ ცალსახად ზუსტად ვერ განისაზღვრება. გამოყენებული შეფასებები და დაშვებები ეფუძნება ხელმძღვანელობის წარსულ გამოცდილებას და სხვა შესაბამის ინფორმაციას. რეალური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მენეჯმენტის შეფასებებისაგან. შეფასებები და დაშვებები მუდმივი გადახედვის და ხელახლა განხილვის საგანია. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ხდება შეფასების გადახედვა. შემდეგ ტექსტში მოცემულია ის ძირითადი დაშვებები, რომლებიც ეხება მომავალ მოვლენებს და აღწერილია ის წყაროები, რომელსაც ეყრდნობა მენეჯმენტი ამ შეფასებების გაკეთებისას და რომლებიც შეიცავენ მნიშვნელოვან რისკს იმისა, რომ არსებითი ცვლილებები გამოიწვიონ ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი აქტივების და ვალდებულებების თანხებში.

6.1 ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადას აფასებს მენეჯმენტი. შეფასება გამომდინარეობს მსგავს აქტივებზე წარსული გამოცდილებიდან. ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას გაითვალისწინება აქტივის მოსალოდნელი გამოყენება, მიახლოებითი ტექნიკური მოძველება, ფიზიკური ცვეთა და ფიზიკური გარემო სადაც აქტივი გამოიყენება. აღნიშნულ შეფასებებში ან მდგომარეობებში ცვლილებამ შესაძლოა გამოიწვიოს მომავალი ცვეთის ნორმებში ცვლილებები.

საბროკერო კომპანია სს ჰერიტიჯ სიქიურიტიზ
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2023 წლის 30 ივნისის მდგომარეობით

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

6.2 გადასახადები

საქართველოს საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობაში არის არაერთმნიშვნელოვანი დებულებები, რომლებიც ტოვებს მათი სხვადასხვაგვარი ინტერპრეტირების შესაძლებლობას. აღნიშნული კანონმდებლობის მოთხოვნების მენეჯმენტის მიერ მიღებული ინტერპრეტაცია, რომელიც გამოიყენება ჯგუფის ტრანზაქციებისა და საქმიანობის აღრიცხვისა და მართვისათვის, შეიძლება ეჭვის ქვეშ დადგეს ან არასწორად იქნეს მიჩნეული რეგიონალური და ცენტრალური მარეგულირებელი ორგანოების მიერ. დასაშვებია, რომ საგადასახადო ორგანოების მიერ განსხვავებულად იქნას დარიცხული გადასახადები, რაც გამოიწვევს თავდაპირველად აღიარებული თანხების ცვლილებას.

7 ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	შენიშვნა	30 ივნისი 2023	30 ივნისი 2022
ნაღდი ფული სალაროში	7.1	-	-
ფული ბანკში	7.1	93,048	69,106
სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები		93,048	69,106

7.1 ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები ვალუტების მიხედვ		30 ივნისი 2023	30 ივნისი 2022
ქართული ლარი (GEL)	7.1	2,608	1,933
ა.შ.შ. დოლარი (USD)	7.1	85,495	53,157
ევრო (EUR)	7.1	1,627	10,446
დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი (GBP)	7.1	3,317	3,571
სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები		93,048	69,106

8 კლიენტების მოზარებული აქტივები

კლიენტების მოზარებული აქტივები	30 ივნისი 2023	30 ივნისი 2022
ა.შ.შ. დოლარი (USD)	2,072,014	9,162,628
სულ კლიენტების მოზარებული აქტივები	2,072,014	9,162,628

9 ფინანსური აქტივები რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით

ფინანსური აქტივები რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემო	30 ივნისი 2023	30 ივნისი 2022
სს ლიბერთი ბანკის ჩვეულებრივი აქციები (BANK)	205	187
სს საქართველოს საფონდო ბირჟა (GSE)	600	600
სს საქართველოს ბანკი (BGEO)	-	4,657
სს საქართველოს კაპიტალი (CGEO)	-	2,161
სულ ფინანსური აქტივები რეალური ღირებულებით სხვა სრულ	805	7,605

საბროკერო კომპანია სს ჰერიტიჯ სიკიურითიზ
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2023 წლის 30 ივნისის მდგომარეობით

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

10 კლიენტების მიმართ არსებული მოთხოვნები

	30 ივნისი 2023	30 ივნისი 2022
სავაჭრო მოთხოვნები	2,082	11,208
სულ კლიენტების მიმართ არსებული მოთხოვნები	2,082	11,208

11 გაცემული სუბორდინირებული სესხი

გაცემული სუბორდინირებული სესხი	30 ივნისი 2023	30 ივნისი 2022
სს ლიბერთი ბანკის სუბორდინირებული სესხი	966,906	1,081,793
სულ გაცემული სუბორდინირებული სესხი	966,906	1,081,793

12 ძირითადი საშუალებები

	კომპიუტერული ტექნიკა და სხვა ძირითადი საშუალებები	სულ
ისტორიული ღირებულება		
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრისთვის	10,572	10,572
დამატებები	797	797
ნაშთი 2023 წლის 30 ივნისისათვის	11,369	11,369
აკუმულირებული ცვეთა		
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრისთვის	(6,724)	(6,724)
პერიოდის ცვეთა	(281)	(281)
ნაშთი 2023 წლის 30 ივნისისათვის	(7,005)	(7,005)
წმინდა საბალანსო ღირებულება		
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრისთვის	3,848	3,848
ნაშთი 2023 წლის 30 ივნისისათვის	4,364	4,364

13 სხვა აქტივები

	30 ივნისი 2023	30 ივნისი 2022
წინასწარ გადახდილი სხვა ხარჯები	12,663	19,108
სულ სხვა აქტივები	12,663	19,108

გვერდი

13

საბროკერო კომპანია სს ჰერიტიჯ სიკიურითიზ

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2023 წლის 30 ივნისის მდგომარეობით

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

14 კლიენტების ანგარიშები

	30 ივნისი 2023	30 ივნისი 2022
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები (კლიენტები)	-	-
სხვა მოთოვნები (კლიენტები)	-	-
სხვა მოთოვნები (კლიენტები)	2,072,014	9,162,628
ვალდებულებები აქტივების მართვის ანგარიშებიდან კლიენტებთან წარმოქმნილი ვალდებულებები	2,072,014	9,162,628
სულ ვალდებულებები	2,072,014	9,162,628
წმინდა ნაშთი პერიოდის ბოლოს	-	-

15 სხვა ვალდებულებები

	30 ივნისი 2023	30 ივნისი 2022
	59,136	1,118
სულ სხვა ვალდებულებები	59,136	1,118

16 კაპიტალი

საბროკერო კომპანიებს, საქართველოს კანონმდებლობით, ეროვნული ბანკი უსაზღვრავს კაპიტალის მოთხოვნებს. ეს მოთხოვნები დაკავშირებულია მხოლოდ კაპიტალის მოცულობასთან და არ არის დაკავშირებული კაპიტალის ან აქტივების სტრუქტურასთან. საქართველოს ეროვნული ბანკის მოთხოვნის მიხედვით კაპიტალი უნდა შეადგენდეს **500,000 ლარს. 2023 წლის 30 ივნისის** მდგომარეობით, ჯგუფის მფლობელთა მთლიანი კაპიტალი შეადგენს **1,020,732 ლარს**. კომპანიის მხრიდან დაკმაყოფილებულია კაპიტალის მინიმალური ოდენობის მოთხოვნა.

ჯგუფს მისი არსებობის მანძილზე არასდროს გაუცია დივიდენდი მისი პარტნიორებისათვის, ზოგადი პოლიტიკა კი მდგომარეობს იმაში, რომ მოხდეს ჯგუფის სავარაუდო დივიდენდების რეინვესტირება ჯგუფის კაპიტალში თუ პარტნიორთა კრების მიერ არ იქნა მიღებული სხვაგვარი გადაწყვეტილება.

17 საბროკერო საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი

	30 ივნისი 2023	30 ივნისი 2022
საბროკერო საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი	210	210
სხვა შემოსავალი საბროკერო მომსახურებიდან	-	-
	210	210

გვერდი 14

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2023 წლის 30 ივნისის მდგომარეობით

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

18 რისკების მართვა

სს "ჰერიტიჯ სიქიურითიზის" კლიენტების აქტივების მართვის პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სხვადასხვა სახის რისკების მართვას, მათ გამოვლენას, შეფასებას და კონტროლს. აქტივების მართვის საქმიანობისთვის დამახასიათებელია ისეთი ძირითადი რისკები, როგორცაა საკრედიტო რისკი, სავალუტო რისკი, საპროცენტო განაკვეთის რისკი და ლიკვიდურობის რისკი.

19 საწარმოს უწყვეტობის განხილვა

მენეჯმენტი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განიხილავს საწარმოს უწყვეტობასთან დაკავშირებულ საკითხებს, რათა დარწმუნდეს, რომ ფინანსური ანგარიშგების წარდგენა საწარმოს უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე სამართლიანია. მენეჯმენტი მიიჩნევს და დარწმუნებულია, რომ ჯგუფის უწყვეტ ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება და არც თვითონ აქვთ ჯგუფის ლიკვიდაციის ან საქმიანობის მნიშვნელოვანი შეზღუდვის გეგმები.

20 ინფორმაცია კლიენტების რაოდენობასა და კლიენტების ტრანზაქციების ჯამურ მოცულობაზე

2023 წლის 30 ივნისის მდგომარეობით აღრიცხულია 809 კლიენტი.

2023 წლის მეორე კვარტლის განმავლობაში კლიენტების ფასიანი ქაღალდების ტრანზაქციების მოცულობამ შეადგინა **23,468,725** ლარი.

2023 წლის მეორე კვარტალში რეგისტრატორში დადებული გარიგებების მოცულობამ შეადგინა **0** ლარი.

21 ბალანსის თარიღის შემდგომი მოვლენები

ფინანსური ანგარიშგების თარიღის შემდგომ არ მოხდარა ლარის კურსის მკვეთრი ცვლილება. ჩვემთ მოცემულია ვალუტის კურსები ბალანსის თარიღისათვის და ხელმოწერის თარიღისათვის:

ვალუტა	14-Aug-23	30-Jun-23	ზრდა/(კლება) ცვლილება
აშშ დოლარი (USD)	2.6211	2.6177	0%
ევრო (EUR)	2.8816	2.8591	1%
დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი (GBP)	3.3314	3.3132	1%

გვერდი

15